



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ენერჯეტიკა
2020 წლის პირველი ნახევარი
13 აგვისტო 2020

მნიშვნელოვანი საინფორმაციო

ელექტროენერჯის მოხმარება 2020 წლის პირველ ნახევარში წლიურად 4.5%-ით შემცირდა და 6.1 ტვტ.სთ შეადგინა. ელექტროენერჯის მოხმარების კლება კოვიდ-19-ის პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვებითაა განპირობებული. კლება ყველაზე საგრძნობი იყო მეორე კვარტალში (-10.7% წ/წ), რადგან შეზღუდვები მარტის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2020 წელს მოხმარების 5.8%-იან წლიურ კლებას პროგნოზირებს (2020 წლის საპროგნოზო ბალანსში ივლისში შესული ცვლილების მიხედვით).

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
evabochoishvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.8036

მარიამ ჩახვაშვილი
უფროსი ანალიტიკოსი
mchakhvashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.7897

ენერჯეტიკულ ბაზარზე 2021 წლის ივლისიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები ამოქმედდება. სემეკმა დაამტკიცა დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები, ასევე საბალანსო და სასისტემო მომსახურებების ბაზრის წესები და დანიშნა შესაბამისი ბაზრის ოპერატორები. დღით ადრე ბაზარი ოპერირებას 2021 წლის ივლისში დაიწყებს, ამავე პერიოდისთვის შემოვა უბალანსობის ანგარიშსწორების მექანიზმი. დღიური ბაზრის და სისტემური სერვისების ბაზრის სრული ამოქმედება 2022 წლისთვისაა დაგეგმილი. შესაბამისი პლატფორმები სატესტო რეჟიმშია, ხოლო ბაზრის მონაწილეების ტრენინგები სექტემბრიდან განხორციელდება. დეტალები იხ. გვ 2-4.

5 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის მქონე ჰიდროსადგურებისთვის ახალი წახალისების მექანიზმი განისაზღვრა. ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, ყოველი სექტემბერ-აპრილის პერიოდში, ესკო ჰესებს საბაზრო რისკის დაზღვევაში დაეხმარება. იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი საათისთვის საბაზრო ტარიფი ჩამოცდება 5.5 აშშ ცენტს, ესკო ინვესტორს დაუფარავს სხვაობას საბაზრო დასსა და 5.5 ცენტს შორის, მაქსიმუმ 1.5 ცენტის ოდენობით. აქამდე ბაზარზე განახლებადი ენერჯის წყაროების წახალისებლად გამოიყენებოდა გარანტირებული ტარიფის პრინციპი (PPA), რომლის გაცემაც შეწყდა 2017 წელს, რადგან ის მიიჩნეოდა სახელმწიფოსთვის მაღალი ფისკალური რისკის შემცველად და ხელს უშლიდა კონკურენტული და თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას. ახალი მექანიზმი სახელმწიფოს ფისკალურ რისკს ზღუდავს 1.5 ცენტამდე, ხოლო ინვესტორს ფაქტიურად აძლევს 5.5 ცენტთან შემოსავლის გარანტიას, რამეთუ გრძელვადიან პერიოდში საბაზრო ფასის 4 ცენტზე დაბლა ჩამოსვლა არაა მოსალოდნელი.

ლიცენზიანტი კომპანიების 5%-ზე მეტი წილის გასხვისება სემეკთან უნდა შეთანხმდეს. ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების კანონში 2020 წლის ივლისში შესული ცვლილების მიხედვით, გადამცემი სისტემისა და გატარების სისტემის ოპერატორმა კომპანიებმა 5% ან მეტი წილის გასხვისების ან მფლობელის ცვლილების პირობები სემეკს უნდა შეუთანხმდეს. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისია უფლებამოსილია ჩაშალოს გარიგება ან მოითხოვოს პირობების ცვლილება თუ მიიჩნევს, რომ გარიგების პირობებით ზიანდება მომსახურების ხარისხი ან იცვლება სისტემის ოპერატორის ტარიფი.

საპარტნიორო ფონდმა ესკო და სსე სახელმწიფოს გადასცა, ხოლო თელასის 24.5%-იანი წილი აუქციონზე გამოიტანა. სახელმწიფო ფონდმა თავისი შვილობილი ორი ენერჯეტიკული საწარმო, ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) და დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზიანტი საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) სახელმწიფოს მფლობელობაში გადასცა.



გადაცემას კომპანიების მენეჯმენტის ცვლილება არ მოჰყოლია, რადგან საპარტნიორო ფონდის მფლობელიც სახელმწიფოა და აღნიშნული კომპანიების მონიტორინგს აქამდეც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებდა. საპარტნიორო ფონდი რეფორმის ფარგლებში აგრეთვე გეგმავს თელასის 24.5%-იანი წილის გაყიდვას, რისთვისაც გამოცხადებული აქვს საჯარო აუქციონი. აუქციონში საწყისი ფასი 10.5 მლნ აშშ დოლარია, ხოლო საბოლოო გასაყიდი ფასი სექტემბერში იქნება ცნობილი. თელასის დანარჩენი 75% აქციების მფლობელია ინტერ-რაო.

კორნავირუსის ნეგატიური გავლენის შემსუბუქების მიზნით, მთავრობამ კომუნალური მომსახურებები დაასუბსიდირა. სუბსიდიის პირველი ნაწილი გავრცელდა 2020 წლის მარტის, აპრილისა და მაისის მოხმარებაზე, ხოლო მეორე ეტაპი 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდზეა დაგეგმილი. შეღავათი ვრცელდება იმ აბონენტებზე, რომელთა მოხმარებაც ნაკლებია 200კვტ.სთ-ზე ელექტროენერჯის შემთხვევაში და 200მ³-ზე ბუნებრივი გაზის შემთხვევაში. ეს მოხმარება დაახლოებით შეესაბამება თვიურად 37 ლარის გადასახადს ელექტროენერჯის შემთხვევაში და 100 ლარის მოხმარებას ბუნებრივი აირისთვის. მარტი-მაისის პერიოდში სუბსიდიით 7.6 მილიონმა აბონენტმა ისარგებლა და სუბსიდიის ჯამურმა მოცულობამ 167.7 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მთავრობამ მსურველებს დოტაციაზე უარის თქმის შესაძლებლობა მისცა. სუბსიდიის პირველ ეტაპზე შეღავათზე ნებაყოფლობითი უარი 9,600-მა აბონენტმა განაცხადა.

ენერჯეტიკული ბაზრის რეფორმა

ბაზრის რეფორმა გათვალისწინებული ვადით მიმდინარეობს. კანონმდებლები დათქმულ ვადაში ასრულებენ ენერჯეტიკული თანამეგობრობის წევრობით და ენერჯეტიკის შესახებ ახალი კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს:

- პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ენერგოეფექტურობისა და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ
- საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა განახლებადი ენერჯიების და ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმები, შეიმუშავა ჰიდროსადგურებისთვის ინვესტიციების წახალისების ახალი მექანიზმი, შეიტანა ცვლილებები ენერჯეტიკის შესახებ კანონში.
- საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ დაამტკიცა: დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები; საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესები; ლიცენზირების ახალი წესები; გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესები. ამასთან, ლიცენზირების ახალი წესის შესაბამისად გასცა შესაბამისი ლიცენზიები, მათ შორის ბაზრის ოპერატორებზე.

დღით ადრე და დღიური ბაზრები

დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობა ხორციელდება სპეციალური პლატფორმის მეშვეობით სრულიად გამჭვირვალედ და მკაცრი წესების მიხედვით. ვაჭრობის საგანს წარმოადგენს კონკრეტული ერთი საათის ელექტროენერჯია. დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობა ხორციელდება აუქციონის



პრინციპით, ხოლო დღიურ ბაზარზე შეთავაზება-დათანხმების ანუ განგრძობითი ვაჭრობის პრინციპით.

ფასი დღით ადრე ბაზარზე მომდევნო დღის თითოეული საათისთვის დგინდება ამ კონკრეტულ საათში მოთხოვნა-მიწოდების მრუდების თანაკვეთით და ის ერთი იქნება ბაზრის ყველა მონაწილისთვის, მიუხედავად მათი განაცხადში დაფიქსირებული ფასისა. მონაწილეები, ვისაც საბაზრო ფასსზე მეტად სურდათ ელექტროენერჯის გაყიდვა ვერ მოახერხებენ ელექტროენერჯის გაყიდვას, ხოლო ვინც თანახმა იყვნენ უფრო იაფად გაყიდვაზე, მიიღებენ დამატებით შემოსავალს. ბაზარზე განაცხადის გაკეთება ზღვრული და გონივრული დანახარჯების პრინციპით გაკეთდება და შექმნის ჯანსაღი კონკურენციის პირობებს. დღით ადრე ბაზარზე აუქციონის პრინციპი ახდენს მონაწილეების საერთო კეთილდღეობის მაქსიმიზებას.

დღიურ ბაზარზე ვაჭრობა ხორციელდება მიმდინარე რეჟიმში, პლატფორმაზე გაკეთებული ყიდვისა და გაყიდვის განაცხადების დაწყვილებით. ანგარიშსწორება ხორციელდება პლატფორმის მეშვეობით სისტემის ოპერატორის მიერ, რაც მონაწილეებს უზღვევს კონტრაქტორის რისკს.

საკანონმდებლო ჩარჩო: დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ოპერირების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს სემეკი შესაბამისი ბაზრის წესებით, ხოლო დეტალურ ინსტრუქციას, რეგისტრაციის ფორმებსა და პროგრამის მუშაობის პრინციპებს ბაზრის ოპერატორი გამოაქვეყნებს პლატფორმის საბოლოო გაშვებამდე. ბაზრების მონიტორინგს განახორციელებს სემეკი.

დღით ადრე და დღიური ბაზრის ოპერირების ლიცენზია მიენიჭა „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟას“, 2019 წლის ბოლოს დაფუძნებულ „სსე“-სა და „ესკო“-ს შვილობილ კომპანიას. „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟას“ ევალება დღით ადრე და დღიური ბაზრის ოპერირება, შესაბამისი პლატფორმის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და ბაზრის მოთამაშებებთან ანგარიშსწორების უზრუნველყოფა.

დღით ადრე და დღიური ბაზრების პლატფორმა ენერგეტიკულმა ბირჟამ საკონსულტაციო კომპანია Nordpool-ისგან შეიძინა, იგი სატესტო რეჟიმში უკვე გაშვებულია და მიმდინარეობს ბაზრის მონაწილეების ტრენინგი. დღით ადრე და დღიური ბაზრების სრული ამუშავება შესაბამისად 2021 წლის ივლისსა და 2022 წლის ზაფხულშია დაგეგმილი.

საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზარი

საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრის წესები სემეკმა 2020 წლის აგვისტოში დაამტკიცა, აგრეთვე გასცა ამ ბაზრის ოპერირების ლიცენზია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე (სსე).

წესების მიხედვით შემოდის უბალანსობაზე პასუხისმგებლობის ცნება. როდესაც ბაზრის მონაწილე ვერ ასრულებს კონტრაქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს კონკრეტულ საათში, მას ეკისრება პასუხისმგებლობა გამოწვეული უბალანსობისთვის და უწევს შესაბამისი საფასურის გადახდა. საფასურის გაანგარიშების წესი გაწერილია ბაზრის წესებში, ხოლო უშუალოდ დაანგარიშებას განახორციელებს სსე. ეს არაა მხოლოდ საჯარიმო მექანიზმი, უბალანსობის შემსუბუქებისთვის გარკვეულმა სადგურებმა შესაძლოა გასამრჯელოც კი მიიღონ.



საბალანსო და დამხმარე მომსახურებები სსე-სთვის სისტემის ოპტიმალური მართვის მექანიზმებია, რომლებსაც გამოიყენებს ავარიის ან უბალანსობის აღმოფხვრისთვის. ამ ბაზრის მიზანია სისტემას მუდმივად მზადყოფნაში ქონდეს საკმარისი რაოდენობის ავარიული რეზერვი. დამხმარე მომსახურებების ბაზარზე შემსყიდველი არის სახელმწიფო ელექტროსისტემა, ხოლო გამყიდველები ელექტროსადგურები. ამ ბაზარზე დაშვებისთვის სადგური უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებს და გაიაროს შემოწმება სსე-სთან. მოთხოვნები ძირითადად სადგურის ტექნიკურ მახასიათებლებს ეხება, როგორცაა სიმძლავრის გაზრდის დრო და ამპლიტუდა, მოქნილობა და ა.შ.

დამხმარე მომსახურებები შესაძლოა სსე-სთვის მიწოდებულ იქნას სიმძლავრის სახით გრძელვადიანი კონტრაქტის მეშვეობით ან ენერჯის სახით კონკრეტული პერიოდისთვის. სსე საჭიროებიდან და ბაზრის რეალობიდან გამომდინარე განსაზღვრავს საბალანსო და დამხმარე მომსახურებების პროდუქტების ზუსტ ჩამონათვალს, ბაზარზე დაშვების კრიტერიუმებს და შესყიდვის პერიოდულობას.

დამხმარე მომსახურებების ორგანიზებული ბაზრის ამოქმედება 2021 წლის ზაფხულიდანაა დაგეგმილი. ბაზრის მონაწილეების ტრენინგები დამხმარე და სისტემური სერვისების, ასევე უბალანსობის ანგარიშსწორების მიმართულებით 2020 წლის სექტემბრიდანაა დაგეგმილი.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

სემეკმა დაამტკიცა ლიცენზირების წესები და გასცა შესაბამისი ლიცენზიები. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ ახალი კანონის და ბაზრის კონცეპციის მიხედვით, ბაზარზე ახალი ლიცენზირებადი საქმიანობები გაჩნდა, როგორცაა დღით ადრე და დღიური ბაზრის ოპერატორი და საბალანსო ბაზრის ოპერატორი. სემეკმა ახალი ლიცენზირების წესებით, განსაზღვრა როგორც ამ ახალი საქმიანობების მოქმედების არეალი, ვალდებულებები და ლიცენზირების პირობები, აგრეთვე მოდიფიკაციები შეიტანა წარმოების, განაწილების და გატარების ლიცენზირების წესებში და მოაქცია ერთი, განახლებული დოკუმენტის ქვეშ. სემეკმა უკვე გასცა ახალი ლიცენზიები შესაბამის სუბიექტებზე.

ენერგო ეფექტურობის თემასთან დაკავშირებით 2020 წელს სამი დოკუმენტი მიიღეს:

- 1) კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ძირითად პოლიტიკას, განსაზღვრავს რეგულირების ჩარჩოებს და აწესებს ვადებს გარდამავალი პერიოდისთვის, სამიზნე მაჩვენებლების, სამოქმედო გეგმებისა და კანონქვემდებარე დოკუმენტების შემუშავებისთვის;
- 2) კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელიც მშენებლობის სექტორისთვის ახალი რეგულაციების პერიოდულ შემოღებას გულისხმობს;
- 3) ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა - განსაზღვრავს 2020-23 წლებისთვის სახელმწიფოს სამოქმედო ნაბიჯებს და მიზნობრივ მაჩვენებლებს.

ამ დოკუმენტებში შემოღებული ენერგოეფექტურობის პრინციპები ნელ-ნელა ამოქმედდება და საბოლოოდ ძალაში შევა 2030 წლისთვის.

გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესები დეტალებში განსაზღვრავს რა იგულისხმება ტერმინ „განცალკევებაში“ და როგორი



სამართლებრივი, მენეჯერული თუ აქციონერული კავშირი შეიძლება ქონდეს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს ბაზრის სხვა მონაწილეებთან. შეგახსენებთ, რომ ევროდირექტივების და 2019 წლის დეკემბერში დამტკიცებული ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ ახალი კანონის მიხედვით, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს არ აქვს უფლება ამავდროულად იყოს ენერჯის მწარმოებელი, მიმწოდებელი ან მომხმარებელი. საქართველოს რეალობისთვის ეს ნიშნავს ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის რეორგანიზაციას და მისი გამანაწილებელი და მიწოდების საქმიანობების გამოიჯნას. ახლად დამტკიცებული განცალკევების წესები სწორედ ამ რეორგანიზაციისა და გამოიჯნის სამართლებრივ დეტალებს განსაზღვრავს.


ელექტროენერჯის მოთხოვნა, მიწოდება და ფასები - 2020 წლის პირველი ნახევარი

ელექტროენერჯის მოხმარება

ელექტროენერჯის მოხმარება 2020 წლის პირველ ნახევარში წლიურად 4.5%-ით შემცირდა და 6.1 ტვტ.სთ შეადგინა. ელექტროენერჯის მოხმარების კლება კოვიდ-19-ის პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვებითაა განპირობებული. კლება ყველაზე საგრძნობი იყო მეორე კვარტალში (-10.7% წ/წ), ხოლო ეკონომიკის სამინისტროს საპროგნოზო ბალანსის მიხედვით 2020 წელი მოხმარების წლიური 5.8%-იანი კლებით დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერჯის მოხმარება გაიზარდა ორივე კვარტალში, როცა დანარჩენ საქართველოში მოხმარების მნიშვნელოვანი კლებაა. აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერჯის მოხმარება 2020 წლის პირველ ნახევარში წლიურად 15.2%-ით, პირველ კვარტალში 8.0%-ით, ხოლო მეორე კვარტალში 27.8%-ით გაიზარდა. ამ რეგიონის გარეშე დანარჩენი საქართველოსთვის ელექტროენერჯის მოხმარება შემცირდა წლიურად 8.8%-ით 2020 წლის პირველ ნახევარში, 0.7%-ით პირველ კვარტალში და 16.7%-ით მეორე კვარტალში.

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის მოხმარება და წლიური ზრდა, გვტ.სთ



წყარო: ესკო

შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი აღნიშნავს ზრდას წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით

ცხრილი 1: ელექტროენერჯის მოხმარება, წლიური ზრდა

მომხმარებელი	1კვ20	2კვ20	6თ20	2020*
შიდა მოხმარება	+1.2%	-10.7%	-4.5%	-5.8%
აფხაზეთის რეგიონი	+8.0%	+27.8%	+15.2%	+ 12.1%
კვალიფიციური საწარმოები	+52.8%	-16.2%	+8.2%	-14.8%
სადისტრიბუციო კომპანიები	-11.2%	-16.9%	-13.8%	-7.1%
ენერგო-პრო ჯორჯია	-17.2%	-14.4%	-15.9%	-8.2%
თელასი	+0.01%	-21.2%	-10.1%	-5.2%

წყარო: ესკო, ეკონომიკის სამინისტრო

შენიშვნა: 2020 წლის მონაცემები ასახავს ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2020 წლის ივლისში დამტკიცებული ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსის მონაცემებს.

პირველ კვარტალში მოხმარებელთა ცალკეულ კატეგორიებში მოხმარების ტენდენციები საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარეობს. კვალიფიციური (პირდაპირი მოხმარებლები) საწარმოების მოხმარება 2020




წლის პირველ კვარტალში წლიურად 52.8%-ით გაიზარდა, რაც ამ ჯგუფში ახალი კომპანიების დამატებით აიხსნება. ამასთან, იგივე მიზეზით დისტრიბუციის ლიცენზიანტების მოხმარება წლიურად 11.2%-ით შემცირდა. ამ ჯგუფიდან ყველაზე მეტად ენერგო-პრო ჯორჯიას მოხმარება შემცირდა (-17.2% წ/წ), რადგან მისი აბონენტების გარკვეული ნაწილი პირდაპირ მომხმარებლად დარეგისტრირდა.

შეგახსენებთ, რომ ბაზრის დერეგულირების გეგმის ფარგლებში, რომელიც 2018 წლის მაისიდან დაიწყო, ყველა კომპანია, რომელთა საშუალო თვიური ელექტროენერჯის მოხმარება აღემატებოდა 5 გვტ.სთ-ს სავალდებულო წესით დარეგისტრირდა პირდაპირ მომხმარებლად. შედეგად, პირდაპირი მომხმარებლების რიცხვი გაიზარდა 2-დან 15-მდე. ამასთან, მათი წილი ქვეყნის მთლიან მოხმარებაში გაიზარდა და თუ 2018 წლის პირველ ნახევარში (დერეგულირების დაწყებამდე) 12.7%-ს შეადგენდა, 2020 წლის პირველ ნახევარში კი 21.4%-ს მიაღწია.

2020 წლის მეორე კვარტალში ელექტროენერჯის მოხმარება 10.7%-ით შემცირდა. შემცირება ძირითადად პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს და შემცირებულ ეკონომიკურ აქტივობას უკავშირდებოდა. ყველაზე მეტად თელასის მოხმარებამ დაიკლო, წლიურად 21.2%-ით. შემცირდა პირდაპირი მომხმარებლების ელექტროენერჯის მოხმარებაც (წლიურად 16.2%-ით), რაც, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გარდა, უკავშირდება კრიპტობიზნესით დაკავებული ზოგიერთი კომპანიის დაკლებულ აქტივობას.

გრაფიკი 2: ელექტროენერჯის მოხმარება, გვტ.სთ




წყარო: ესკო



ელექტროენერჯის გენერაცია

ელექტროენერჯის მოხმარების შემცირების პარალელურად შემცირდა მოთხოვნა ენერჯო რესურსებზეც. შესაბამისად, 2020 წლის პირველ ნახევარში ჰიდროგენერაცია წლიურად 8.8%-ით შემცირდა, ძირითადად რეგულირებადი ელექტროსადგურების ხარჯზე. დაკლებულია თბოსადგურების გენერაციაც (-10.7% წ/წ). ჯამურად მოხმარების 87.8% დაკმაყოფილდა ადგილობრივი რესურსით, ხოლო 12.2% იმპორტით. მოხმარების შემცირების გავლენა გენერაციის დინამიკაზე საგრძნობი ძირითადად 2020 წლის მეორე კვარტალში იყო, განსაკუთრებით მაისისა და ივნისის თვეებში.


გრაფიკი 3: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

ჰიდროსადგურების ერთადერთი ჯგუფი, სადაც გენერაცია 2020 წლის პირველ ნახევარში გაიზარდა დერეგულირებადი სადგურებია (+18.7% წ/წ), ხოლო ენგურ-ვარდნილის და სხვა რეგულირებადი სადგურების გენერაცია წლიურად, შესაბამისად, 29.1% და 5.4%-ით შემცირდა. დერეგულირებადი სადგურების ჯგუფში უმეტესად ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე ჰესები შედის, რომლებსაც არ აქვთ რეგულირების საშუალება და არ შეუძლიათ ენგურის მსგავსად წყლის რესურსის შენახვა და გამომუშავების სეზონური რეგულაცია. გარდა ამისა, დერეგულირებადი სადგურების ჯგუფს 2020 წლის აპრილში დაემატა შუახევი ჰესი, რომელმაც 2020 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯაზე ჯამური მოთხოვნის 3.5% დააკმაყოფილა.

გრაფიკი 4: ელექტროენერჯის მიწოდება, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი აღნიშნავს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდას

ცხრილი 2: ელექტროენერჯის მიწოდების წლიური ზრდის ტემპი

მიწოდება	1კვ20	2კვ20	6თ20
ჯამური მიწოდება	+1.0%	-12.8%	-5.8%
იმპორტი	+39.6%	-51.8%	+26.5%
ადგილობრივი გენერაცია	-6.0%	-11.8%	-9.1%
თბოსადგურები	-11.7%	-2.8%	-10.7%
ქარის სადგურები	+9.2%	+26.3%	+17.1%
ჰესები	-1.9%	-12.5%	-8.8%
ენგური- ვარდნილი	-10.9%	-36.7%	-29.1%
სხვა რეგ. ჰესები	-2.9%	-7.1%	-5.4%
დერეგულირებადი ჰესები	+10.5%	+23.4%	+18.7%

წყარო: ესკო




ელექტროენერჯის იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი

ელექტროენერჯის იმპორტი 2020 წლის პირველ ნახევარში წლიურად 26.5%-ითაა გაზრდილი, მოხმარების კლების მიუხედავად. იმპორტის 94.6% პირველ კვარტალში განხორციელდა, როდესაც კორონავირუსის ზეგავლენა მცირედი იყო. შესაბამისად, 2020 წლის პირველი ნახევრის მონაცემებზე გავლენა იქონია პირველი კვარტლის 39.6%-იანმა ზრდამ. აღსანიშნავია, რომ პირველ კვარტალში ჯამური იმპორტის დაახლოებით მესამედი, ხოლო რუსეთიდან იმპორტის 70% მოხმარდა აფხაზეთის რეგიონის ელექტრომომარაგებას, რადგან ენგურის ენერჯია არ იყო საკმარისი რეგიონის გაზრდილი მოხმარების დასაკმაყოფილებლად.

2020 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან (ჯამური იმპორტის 47.1%) და აზერბაიჯანიდან (52.9%).


კორონავირუსის გლობალურმა პანდემიამ ელექტროენერჯის ექსპორტზეც იქონია გავლენა. საექსპორტო ბაზრებიდან დაბალი მოთხოვნის და ფასის კლების გამო, 2020 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ექსპორტი წლიურად 42.7%-ით შემცირდა ისედაც დაბალი ბაზიდან (-48.6% წ/წ, 2019 წლის პირველ ნახევარში). ელექტროენერჯის ექსპორტი აპრილის ბოლოს დაიწყო. ექსპორტის 51.8% მიმართული იყო თურქეთის, 38.4% სომხეთის და 9.9% აზერბაიჯანის მიმართულელებით.

გრაფიკი 5: ელექტროენერჯის იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 6: ელექტროენერჯის ექსპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

2020 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ტრანზიტმა აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულელებით 82.2 გვტ.სთ შეადგინა. ტრანზიტის მოცულობა 3.5-ჯერაა გაზრდილი 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და თუმცა საგრძნობლად ჩამორჩება (34.0%-ით) 2016 წლის მაღალ დონეს.




სავაჭრო ბალანსი


ელექტროენერჯის იმპორტის ჯამურმა ღირებულებამ 31.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (+12.4 წ/წ), ხოლო იმპორტის საშუალო ფასმა კვტ.სთ-ზე 3.9 აშშ ცენტი (-11.2% წ/წ). აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონისთვის ელექტროენერჯის იმპორტი შეღავათიან ტარიფად ხორციელდება, რამაც გამოიწვია საშუალო ფასის კლება წინა პერიოდებთან შედარებით. ელექტროენერჯის კომერციული იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 4.7-5.2 აშშ ცენტს შორის მერყეობს.

ექსპორტის თითქმის განახევრებამ შეამცირა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები. 2020 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 4.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 32.0%-ით ჩამორჩება. საშუალო ექსპორტის ფასი კვტ.სთ-ზე 3.7 კვტ.სთ-ს შეადგენდა, რაც წლიური 18.6%-იანი ზრდაა. ფასის ზრდა ექსპორტის სტრუქტურის ცვლილებას უკავშირდება.

გრაფიკი 7: სავაჭრო ბალანსი, მლნ აშშ დოლარი



გრაფიკი 8: ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის საშუალო ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე






ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში

საქართველოში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი საშუალოდ კვტ.სთ-ზე 4.9 აშშ ცენტს შეადგენდა, რაც წლიური 16.5%-იანი ზრდაა. საბალანსო ელექტროენერჯის წილმა ჯამურ მიწოდებაში 24.4% შეადგინა, ხოლო დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტების გზით განხორციელდა. საბალანსო ელექტროენერჯიაში იმპორტის წილი 37.8%-ს შეადგენდა, ხოლო გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) ესკოს მიერ შესყიდული ენერჯის წილი 55.7%-ს.

თურქეთში ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი 2020 წლის პირველ ნახევარში საშუალოდ კვტ.სთ-ზე 4.1 აშშ ცენტს შეადგენდა (-2.7% წ/წ).

გრაფიკი 9: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საესტატი, სეზი, EPIAS

ცხრილი 3: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე

	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოე-19	დეკ-19	2019	იან-20	თებ-20	მარ-20	აპრ-20	მაი-20	ივნ-20	6თ20
საბალანსო ელექტროენერჯის გასაყიდი ფასი საქართველოში	4.7	4.9	5.0	5.0	5.2	5.1	4.8	5.1	4.9	6.1	5.1	4.1	4.3	4.9
%-ლი ცვლილება, წ/წ	30%	4%	12%	-6%	2%	-4%	-5.0%	0%	-5%	21%	5%	54%	66%	16.5%
საშუალო ფასი საქართველოში იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	5.2	5.2	5.1	4.7	5.0	5.2	4.8	5.1	3.2	3.8	4.4	5.5	1.5	3.9
%-ლი ცვლილება, წ/წ	-13%	12%	20%	-7%	1%	0%	-4.1%	2%	-29%	3%	-11%	0%	-72%	-11.2%
საშუალო ფასი საქართველოდან ექსპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	7.2	5.5	1.7	5.5	5.5	-	3.2	5.1	6.3	5.5	5.5	3.7	3.4	3.7
%-ლი ცვლილება, წ/წ	110%	-7%	-71%	-26%	0%	0%	-0.4%	0%	0%	-8%	357%	22%	7%	18.6%
ელექტროენერჯის საბაზრო ფასი თურქეთში	5.4	5.4	5.3	5.1	5.3	5.4	4.7	5.4	5.0	4.0	2.7	3.0	4.3	4.1
%-ლი ცვლილება, წ/წ	23%	2%	1%	-7%	-4%	9%	-0.3%	23%	1%	-18%	-21%	-11%	6%	-2.7%

წყარო: ესკო, საესტატი, სეზი, EPIAS

შენიშვნა: ექსპორტისა და იმპორტის საშუალო ტარიფი უმნიშვნელოა (N/M) რთვა რეალურად განხორციელებული იმპორტი ან ექსპორტი უმნიშვნელოა.



ცხრილი 4: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ

	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოვ-19	დეკ-19	2019	იან-20	თებ-20	მარ-20	აპრ-20	მაი-20	ივნ-20	ვთ20
სულ შიდა მოხმარება	1,107	1,103	971	958	1,068	1,173	12,759	1,190	1,122	1,049	939	890	901	6,090
%-ლი ცვლილება, წ/წ	+1%	+5%	+2%	-1.9%	-0.8%	+0.2%	+1.4%	+3.6%	+8.3%	-7.8%	-7.1%	-9.5%	-15.3%	-4.5%
<i>მათ შორის:</i>														
- აფხაზეთის რეგიონი	117	128	115	126	197	251	2,060	273	269	233	221	168	133	1,298
%-ლი ცვლილება, წ/წ	+1%	+6%	+9%	+3%	+2%	+3%	+7.2%	+7%	+22%	-4%	+18%	+47%	+24%	+15.2%
- პირდაპირი მომხმარებლები	334	308	290	257	239	227	2,864	225	203	224	223	225	207	1,306
%-ლი ცვლილება, წ/წ	+84%	+80%	+81%	+52%	+50%	+42%	+59.6%	+56%	+58%	+45%	+55%	-28%	-36%	+8.2%
- სადისტრიბუციო კომპანიები	656	666	566	575	632	695	7,835	692	649	592	495	497	561	3,487
%-ლი ცვლილება, წ/წ	-17%	-12%	-18%	-16%	-13%	-10%	-11.6%	-8%	-5%	-20%	-27%	-11%	-11%	-13.8%
<i>მათ შორის:</i>														
- ენერგო-პრო ჯორჯია	404	424	358	360	379	416	4,933	412	388	370	324	328	357	2,180
%-ლი ცვლილება, წ/წ	-23%	-19%	-23%	-23%	-21%	-16%	-16.3%	-14%	-13%	-24%	-29%	-4%	-6%	-15.9%
- თელასი	252	243	208	215	253	279	2,902	279	262	222	170	169	204	1,306
%-ლი ცვლილება, წ/წ	-7%	+3%	-6%	-2%	+2%	+1%	-2.3%	+4%	+9%	-12%	-23.0%	-21.8%	-19.1%	-10.1%
სულ გენერაცია	1,055	1,020	821	800	913	1,012	11,865	1,031	851	867	944	986	999	5,678
%-ლი ცვლილება, წ/წ	-17%	+4%	-3%	+2%	+1%	+3%	-2.3%	+2%	-9%	-11%	-2%	-15%	-17%	-9.1%
<i>მათ შორის:</i>														
- თბოსადგურები	3	138	207	214	402	460	2,840	552	398	153	148	13	0	1,265
%-ლი ცვლილება, წ/წ	-52%	-8%	+29%	+8%	+22%	+67%	+34.3%	+37%	-5%	-64%	-6%	+8380%	-100%	-10.7%
- ქარის სადგურები	9	8	7	6	8	7	85	8	7	9	8	8	7	47
%-ლი ცვლილება, წ/წ	+11%	+9%	-11%	-19%	+16%	+5%	+0.5%	+36%	-9%	+7%	+23%	+34%	+21%	+17.1%
- ჰიდროსადგურები	1,043	874	607	580	503	545	8,940	471	445	705	787	965	993	4,366
%-ლი ცვლილება, წ/წ	-17%	6%	-11%	0%	-11%	-23%	-10.1%	-22%	-13%	30%	-1.7%	-16.1%	-16%	-8.8%
<i>მათ შორის:</i>														
- ენგური და ვარდნილი	540	518	276	225	223	230	4,028	214	141	173	194	262	446	1,430
%-ლი ცვლილება, წ/წ	-35%	+1%	-26%	-9%	+12%	-11%	-15.3%	-19%	-31%	+41%	-19%	-51%	-31.7%	-29.1%
- სხვა რეგულირებადი ჰესები	268	200	162	182	135	179	2,593	135	168	262	307	279	239	1,388
%-ლი ცვლილება, წ/წ	+8%	+26%	-11%	-5%	-33%	-29%	-11.6%	-24%	+0%	+11%	-1%	-13%	-7.0%	-5.4%
- სხვა ჰესები	235	157	168	173	145	137	2,319	122	136	270	287	425	308	1,548
%-ლი ცვლილება, წ/წ	39%	1%	33%	23%	-10%	-29%	+2.7%	-23%	-2%	49%	14%	42%	12%	+18.7%
იმპორტი	94	119	185	195	200	211	1,627	214	312	218	36	7	0	787
%-ლი ცვლილება, წ/წ	NM	+20%	+33%	-15%	-9%	-8%	+7.8%	+18%	+119%	+4%	-55.2%	NM	-98.8%	+26.5%
ექსპორტი	6	0	0	3	0	0	243	0	1	0	6	65	62	134
%-ლი ცვლილება, წ/წ	-95%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-58.6%	N/A	N/A	N/A	N/A	-51%	-38%	-42.7%
სავაჭრო ბალანსი	(88)	(119)	(185)	(193)	(200)	(211)	(1,383)	(214)	(312)	(218)	(30)	59	62	(653)
ტრანზიტი	-	38	33	-	22	19	14	26	25	-	-	-	31	82
%-ლი ცვლილება, წ/წ	N/A	N/A	N/A	N/A	-80%	-83%	-94.3%	N/A	+174%	N/A	N/A	N/A	N/A	+249.9%

წყარო: ესკო

შენიშვნა: სხვა რეგულირებადი ჰესებში შედიან ის სადგურები, რომლებსაც სემკვი უწყებებს ელექტროენერჯის გასაყიდი ფასის ზედა ზღვარს. ეს სადგურებია: ვარციხე, ჟინვალი, ხრამი 1, ხრამი 2, ბევრულა, გუმათი, რიონი, მათრი.



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარდებები, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილუდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთლისინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ. მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულსხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გაელენა მთავარი ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიმდებარებაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoreshvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
ზაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ნინო პერანიძე | nperanidze@gt.ge

ანალიტიკოსი
ნიკა მეგუთნიშვილი | nmegutnishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge